ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №78511

ნომერი: AR126958

თარიღი : 01.03.2012

გაცემის თარიღი : 13.03.2012

გაცნობის თარიღი : 14.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კურცხალია პ/ნ 01017013507
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 01 მარტს №AR125815 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქ. მერაბ კურცხალიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.72.014.034.471) ამხ. "მირაჟის" მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურის მიერ 2012 წლის 02 მარტის

№66931 გადაწყვეტილებით წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას დაუდგინდა ხარვეზი.

სამსახურს 2012 წლის 01 მარტს №AR126958 ელექტრონული განაცხადით მომართა მოქ. მერაბ კურცხალიამ და მოითხოვა ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, კერძოდ, მიერ გამოგზავნილ არქიტექტურულ ნახაზის მეორე სართულზე 4,95 ნიშნულზე ბინა №9 და №10 ფართები მითითებულია შებრუნებით. ბინა №9 ფართი - 47.85 მ2 მიწერილია №10 ბინაზე. ხოლო ბინა №10 ფართები (საერთო ფართი-82,95 მ2, საცხ. ფართი 68,10 მ2, საზაფხულო ფართი - 14,85 მ2) ბინა №9-ზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ისეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რომელიც ბუნებაში ჯერ არ არსებობს. ანუ, ვინაიდან ფაქტობრივი მიზეზების გამო შეუძლებელია განხორციელდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამგვარი ქმედება, სამსახური განმცხადებლის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. აღნიშნული აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ პუნქტის თანახმად ჩაითველბა არარა აქტად მისი გამოცემისთანავე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების VI თავის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არ დაკმაყოფილდეს მოქ. მერაბ კურცხალიას 2012 წლის 01 მარტის №AR126958 განცხადება.
2. განემარტოს მოქ. მერაბ კურცხალიას, რომ სამსახურის 2012 წლის 01 მარტის №66931 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზების შევსების ან ახალი სრულყოფილი ელექტრონული განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც ეცნობება ელექტრონული ფორმით.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.